საქმე №3402100160013218 34
საქმე №2/255-16

2620212011627
www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

(საქართველოს სახელით)
საჯარო შეტყობინების შესახებ

29.06.2016 წელი ქ. გურჯაანი

გურჯაანის რაიონული სასამართლოს
მოსამართლე რომან კუპატაძე

მოსარჩელე - სს "ლიბერთი ბანკი"
წარმომადგენელი - ლალი გვაზავა
მოპასუხე - რამაზ წიქარიშვილი
დავის საგანი - ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოპასუხე რამაზ წიქარიშვილისთვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სს "ლიბერთი ბანკის" სარჩელი რამაზ წიქარიშვილის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 11 თებერვალს ბანკსა და მოპასუხე რამაზ წიქარიშვილს შორის გაფორმდა №0002/2015/19072 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რამაზ წიქარიშვილმა მიიღო 1150 ლარი, წლიურ 22 %-ში. კრედიტის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 20 ოქტომბერი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა ვადაგადაცილების პირგასამტეხლო , რაც ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეადგენს გადაუხდელი თანხის 0.5 %. 2016 წლის 6 აპრილის მდგომარეობით რამაზ წიქარიშვილის დავალიანება სს"ლიბერთი ბანკის" მიმართ შეადგენს 2091.28 ლარს, საიდანაც ძირი თანხა არის 1150 ლარი, პროცენტი - 285.41 ლარი და ჯარიმა - 655.87 ლარი.

მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის დასადასტურებლად წარმოდგენილია შემდეგი მტკიცებულებები:

1. 2015 წლის 11 თებერვლის ხელშეკრულება №0002/2015/19072;

2. ცნობა დავალიანების შესახებ;
3. ამონაწერი ანგარიშიდან;
4. 2016 წლის 06 აპრილის და 08 აპრილის გაფრთხილებები;
5. მინდობილობა;
6. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
7. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

2016 წლის 13 ივნისს მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოს მომართა შუამდგომლობით და მოითხოვა **სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით** ყადაღა **დაედოს** რამაზ წიქარიშვილის **კუთვნილ საბანკო ანგარიშებს** საქართველოში რეგისტრირებულ ყველა საბანკო დაწესებულებაში, კერძოდ: სს "ბანკი რესპუბლიკა" ს/კ 204856263, სს "ბაზის ბანკი" ს/კ 203841833, სს"ვითიბი ბანკი ჯორჯია" ს/კ 202906427, სს"ბანკი ქართუ" ს/კ 204891652, სს "პროკრედიტ ბანკი"-154 ს/კ 204851197, სს "ბითიეი ბანკ" ს/კ 201955027, სს "ინვესტბანკი" ს/კ 204447349, სს"აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი საქართველო" ს/კ 202359009, სს "ზირაათ ბანკი" ს/კ 202057610, სს "კავკასიის განვითარების ბანკი" ს/კ 203861892, სს"კორ სტანდარტ ბანკი" ს/კ 204546045, სს "ხალიკ ბანკი საქრათველო" ს/კ 205236537, სს "ბანკი კონსტანტა" ს/კ 204542771, სს "თიბისი ბანკი" ს/კ 204854595, სს საქართველოს ბანკი" ს/კ 204378869, სს" თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი" ს/კ 445413375, სს "პროგრეს ბანკი" ს/კ 204544323, სს" პაშა ბანკი საქართველო" ს/კ 404433671, სს "კაპიტალბანკი" ს/კ 204447349, სს "ფინკა ბანკი საქართველო" ს/კ 205235262 საარსებო მინიმუმის (150 ლარის) ზემოთ ჩარიცხულ თანხებზე.

2016 წლის 14 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა და **ყადაღა დაედო** საქართველოში რეგისტრირებულ საბანკო დაწესებულებებში, კერძოდ: სს "ბანკი რესპუბლიკა" ს/კ 204856263, სს "ბაზის ბანკი" ს/კ 203841833, სს"ვითიბი ბანკი ჯორჯია" ს/კ 202906427, სს"ბანკი ქართუ" ს/კ 204891652, სს "პროკრედიტ ბანკი"-154 ს/კ 204851197, სს "ბითიეი ბანკ" ს/კ 201955027, სს "ინვესტბანკი" ს/კ 204447349, სს"აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი საქართველო" ს/კ 202359009, სს "ზირაათ ბანკი" ს/კ 202057610, სს "კავკასიის განვითარების ბანკი" ს/კ 203861892, სს"კორ სტანდარტ ბანკი" ს/კ 204546045, სს "ხალიკ ბანკი საქრათველო" ს/კ 205236537, სს "ბანკი კონსტანტა" ს/კ 204542771, სს "თიბისი ბანკი" ს/კ 204854595, სს საქართველოს ბანკი" ს/კ 204378869, სს" თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი" ს/კ 445413375, სს "პროგრეს ბანკი" ს/კ 204544323, სს" პაშა ბანკი საქართველო" ს/კ 404433671, სს "კაპიტალბანკი" ს/კ 204447349, სს "ფინკა ბანკი საქართველო" ს/კ 205235262, რამაზ წიქარიშვილის (**პირადი №25001002127**) **საბანკო ანგარიშებზე** საარსებო მინიმუმის (150 ლარის) ზემოთ ჩარიცხულ თანხებს.

სასამართლომ მოპასუხე რამაზ წიქარიშვილისთვის საჯარო შეტყობინებით გზავნილის ჩაბარების საკითხის განხილვისას დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტები:

საქმის მომზადების მიზნით, მოსარჩელე სს "ლიბერთი ბანკს" საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის **შესაბამისად** დაევალა მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება.

2016 წლის 20 ივნისს გურჯაანის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელმა და წარმოადგინა საფოსტო დაწესებულების მიერ გაცემული შეტყობინებები მოპასუხე რამაზ წიქარიშვილისთვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გაგზავნის თაობაზე, რომლითაც ირკვევა, რომ ადრესატს ხუთჯერ გაეგზავნა გზავნილი, მაგრამ ვერ ჩაბარდა სარჩელი და თანდართული მასალები მისამართზე არ ყოფნის გამო, აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ იშუამდგომლა მოპასუხისთვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების განხორციელების თაობაზე. ამასთან, გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ 2016 წლის 14 ივნისის განჩინება ასევე გაგზავნილ იქნა მოპასუხის მისამართზე - ლაგოდეხის რაიონი სოფელი მსხალგორი, თუმცა საფოსტო გზავნილები ჩაუბარებელი სახით დაბრუნდა უკან იმაზე მითითებით, რომ კურიერს არავინ არ დახვდა აღნიშნულ მისამართზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება სასამართლო გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, ან ვებგვერდზე განთავსებით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში - მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევას: კერძოდ, საფოსტო შეტყობინების ბარათებით და საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხის ძირითადი მისამართია - ლაგოდეხის რაიონი სოფელი მსხალგორი, თუმცა სარჩელის გაგზავნის მომენტისთვის მოპასუხე ამ მისამართზე აღარ ცხოვრობს.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია, მაგრამ მას გზავნილი ვერ ჩაბარდა იმის გამო, რომ მისი ადგილსამყოფელია უცნობი, მოპასუხეს ვერ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ (არ ჩაბარებია სარჩელი და თანდართული მასალები), სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების (სარჩელისა და თანდართული მასალების) საჯაროდ გავრცელების შესახებ შეტყობინების ვებ-გვერდზე და გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 70-ე-78-ე, 184-ე, 201-ე, 284-ე-285-ე, 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. სამოქალაქო საქმეზე №2/255-16 მოსარჩელე სს "ლიბერთი ბანკის" სარჩელისა გამო მოპასუხე რამაზ წიქარიშვილის მიმართ, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრების თაობაზე, მოპასუხე რამაზ წიქარიშვილს საჯარო შეტყობინების მეშვეობით ეცნობოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტებისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

2. განემარტოს მოპასუხე რამაზ წიქარიშვილს, რომ გურჯაანის რაიონულ სასამართლოში (ქ. გურჯაანი სანაპიროს ქუჩა №24) სს "ლიბერთი ბანკის" სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების შესახებ პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის განსაზღვრული აქვს 7 დღის ვადა და განემარტოს, რომ სარჩელი და თანდართული მასალები მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების ვებგვერდზე და გურჯაანის რაიონულ სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებიდან მე-7 დღეს და სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა აითვლება ამ დროიდან.

3. განემარტოს მოპასუხე რამაზ წიქარიშვილს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. საპატიო მიზეზად კი ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

4. განემარტოს მოპასუხე რამაზ წიქარიშვილს, რომ მის მიერ სასამართლოს განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებების მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

5. განემარტოს მოპასუხე რამაზ წიქარიშვილს, რომ სასამართლოში წარმოდგენილ წერილობით პასუხში (შესაგებელში) მითითებული უნდა იყოს:

- სასამართლოს დასახელება, რომელშიც მოპასუხეს შეაქვს პასუხი;
- მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება),

ძირითადი მისამართი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლოა მიუთითოს ასევე საკონტაქტო პირის მონაცემები;

- ცნობს თუ არა სარჩელს და რა ნაწილში;
- თუ სარჩელს არ ცნობს, მაშინ რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მის მიერ მითითებულ გარემოებებს;
- რა საპროცესო საშუალებებით აპირებს სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ აქვს აცილება მოსამართლის ან სასამართლოს მიმართ და ა.შ.
- ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;
- რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე და სხვა შუამდგომლობები;
- პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;
- მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;
- პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს;
- პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს;
- მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოთ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს ერთმევა უფლება შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები; მოპასუხე უფლებამოსილია მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა;
- მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით;
- სხვა საჩის შუამდგომლობები.

6. განჩინება განთავსდეს გურჯაანის რაიონული სასამართლოს ვებგვერდზე - www.court.ge/courts/gurjaanis raionuli sasamartlo/ და გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე.

7. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე: **რომან კუპატაძე**